

სს „კასპიელექტროპარატი“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად

კასპი

2024 წელი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

სს „კასპიელექტროპარატი“ (ს/კ 232539018)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2023-ის თარიღისათვის

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	208679	491355	722141
სავაჭრო მოთხოვნები	581523	270644	259250
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	148045	3537	3037
მარაგები	53059	204781	355239
სულ მოკლევადიანი აქტივები	991,306	970,317	1,339,667
ძირითადი საშუალებები	1169110	1023579	284627
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,169,110	1,023,579	284,627
სულ აქტივები	2,160,416	1,993,896	1,624,294
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	63887	2073	10836
საგადასახადო ვალდებულებები	23286	15515	39013
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	87,173	17,588	49,849
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	87,173	17,588	49,849
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	923528	923528	923528
გაუნაწილებელი მოგება	437383	301635	650917
გადაფასების რეზერვი	712332	751145	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2,073,243	1,976,308	1,574,445
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,160,416	1,993,896	1,624,294

სს „კასპიელექტროპარატი“-ს დირექტორი:

კ. მოსიაშვილი

სს „კასპიელექტროპარატი“ (ს/კ 232539018)
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2023	2022
ამონაგები	2,068,454	1,486,209
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,095,669)	(1,009,346)
საერთო მოგება	972,785	476,863
დასაქმებულთა ანაზღაურება	(734,603)	(701,673)
საპროცენტო შემოსავალი		4,785
საგადასახადო ხარჯი	(23,874)	(25,122)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(76,292)	(62,977)
სულ საოპერაციო ხარჯები	(834,769)	(784,987)
საოპერაციო მოგება	138,016	(308,124)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(2,038)	(21,619)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(230)	(19,539)
მოგება დაბეგვრამდე	135,748	(349,282)
მოგების გადასახადი		
საანგარიშო პერიოდის მოგება/(ზარალი)	135,748	(349,282)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	(38,813)	751,145
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი). სულ	(38,813)	751,145
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	96,935	401,863

სს „კასპიელექტროპარატი“-ს დირექტორი:

კ. მოსიაშვილი

სს „კასპიელექტროპარატი“ (ს/კ 232539018)
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022	923528	650917	1574445
წმინდა მოგება		401863	401863
წინა წლების შეცდომების გასწორების შედეგები			
საწესდებო კაპიტალის ხრდა/შემცირება			
გაცემული დივიდენდები			
ნაშთი 31.12.2023	923528	1052780	1976308
წმინდა მოგება		96935	96935
წინა წლების შეცდომების გასწორების შედეგები			
საწესდებო კაპიტალის ხრდა/შემცირება			
გაცემული დივიდენდები			
ნაშთი 31.12.2023	923528	1149715	2073243

სს „კასპიელექტროპარატი“-ს დირექტორი:

კ. მოსიაშვილი

სს „კასპიელექტროპარატი“ (ს/კ 232539018)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 31.12.2023-ის თარიღისთვის

	31.12.2023	31.12.2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	2,153,881	1,750,359
საქონლის შეძენაზე გადახდილი ფულადი სახსრები	(1,110,224)	(956,248)
გაცემული ხელფასები	(583,303)	(559,335)
გადახდილი მოგების გადასახადი		(700)
გადახდილი სოც.ანარიცხები ხელფასებზე	(14,583)	(8,734)
გადახდილი სხვა საბიუჯეტო გადასახადი	(352,844)	(327,800)
გადახდილი მოსაკრებელი		(56)
ბიუჯეტიდან დაბრუნებული თანხები	9,277	23,196
ტრანსპორტირება / საწვავის ხარჯი	(44,529)	(62,864)
ოფისის ხარჯები		
კომუნალური ხარჯები (ელ. გაზი, წყალი, დასუფთავება)	(46,993)	(50,709)
მომსახურების სააგენტოები	(1,473)	(2,623)
კომუნიკაცია (ტელ. ფაქსი, ინტერნეტი, ფოსტა)	(620)	(1,116)
იურიდიული მომსახურება	(1,500)	(6,920)
მიმდინარე რემონტი		
საბანკო მომსახურების ხარჯი	(2,764)	(1,702)
სხვა დანახარჯები		
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	4,325	(205,252)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(284,963)	(8,700)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(284,963)	(8,700)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება		
სასესხო ვალდებულებების ზრდა		
სასესხო ვალდებულებების დაფარვა		
პროცენტის დაფარვა		4,785
მიღებული პროცენტები		4,785
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(280,638)	(209,167)
სავალუტო კურსის ეფექტი	(2,038)	(21,619)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	491,355	722,141
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	208,679	491,355

სს „კასპიელექტროპარატი“-ს დირექტორი:

კ. მოსიაშვილი

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2023
წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს კასპიელექტროაპარატი ს/კ 232539018, სააქციო საზოგადოება, რეგისტრირებულია კასპის რაიონული სასამართლოს მიერ 1996 წლის 12 იანვარს. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, კასპი, გიორგი სააკაძის ქ. #4. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ადგილი ემთხვევა იურიდიულ მისამართს. საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ელექტროგამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურის წარმოება. საწარმოს დირექტორია კობა მოსიაშვილი (პ/ნ 01019000264).

საწარმოს არ გააჩნია მშობელი საწარმო. სს კასპიელექტროაპარატს ჰყავს ერთი შვილობილი საწარმო. კერძოდ ის ფლობს 100%-იან წილს შპს „კასპის მაცივარი +“-ში ს/კ 432545873. შპს „კასპის მაცივარი +“ არ ფუნქციონირებს, მასში არ განხორციელებულა კაპიტალის შეტანა, მას არ უმუშავია დაფუძნების დღიდან დღემდე. შესაბამისად იგი არ ახდენს არავითარ გავლენას სს კასპიელექტროაპარატის ფინანსურ ანგარიშგების შედგენაში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2022 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებებს. 2021, 2022 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, 2022 და 2023 წლების ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2023 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

3. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის

ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში

4. ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში. უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

აშშ დოლარი 2023 წლის 31 დეკემბერი 2.6894

ევრო 2023 წლის 31 დეკემბერი 2.9753

5. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში. მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, ხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

1. დივიდენდის განაწილება;
2. სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის;
3. ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
4. გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება;

6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ.

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად. თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი.

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: (ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალების შეფასება ხდება აფასების მოდელით საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ფასდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში. რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

9. გადახდილი ან მიღებული ავანსები

გადახდილი და მიღებული ავანსები აღიარდება გადახდილი/მიღებული თანხის ოდენობით გადახდის/მიღების მომენტში. ავანსების გადაფასება არ ხდება სავალუტო კურსის მიხედვით და რჩება შეფასებული ისტორიული ღირებულებით. გადახდილი ავანსების გაუფასურებაზე ტესტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გადახდილი ავანსის შესაბამის საქონელს ან მომსახურებას კომპანია ვერ მიიღებს და თანხის უკან დაბრუნებაც შეუძლებელი იქნება, მაშინ გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

10. ფული

ფული მოიცავს ფულად სახსრებს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

11. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

12. სესხები

სავალო ინსტრუმენტები უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. იმ შემთხვევაში თუ სავალო ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი, მაშინ იგი უნდა შეფასდეს გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლებისა ან/და ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას, საწარმომ სავალო ინსტრუმენტის სავარაუდო ვადის მიხედვით უნდა მოახდინოს ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ყველანაირი საზღაურის, გადახდილი ფინანსური ხარჯის ან მიღებული ფინანსური შემოსავლის ამორტიზება.

13. შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

14. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში. კომპანიას 2023 წლის განმავლობაში დივიდენდები არ გაუცია.

15. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ დაქირავებულ პირებზე, მათ შორის დირექტორზე გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას. დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურებად ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

17. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფული და ფულის ექვივალენტები

	2023	2022	2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	870	82	2677
ეროვნული ვალუტა ეროვნულ ბანკში	207809	491273	719464
	208679	491355	722141

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022	2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	581523	270644	259250
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	148045	3537	3037
	729568	274181	262287

მარაგები

	2023	2022	2021
ნედლეული და მასალები	44237	197362	333442
დაუმთავრებელი წარმოება	759	304	2726
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8063	7115	19071
	53059	204781	355239

ძირითადი საშუალებები

	შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტ ო საშუალებები	ბიოლოგიურ ი აქტივი	სულ
31.12.2021	130903	37521	6280	104264	5659	284627
შეძენა/წარმოება 2022	0	7373		0		7373
აფასება	547923	94072	9380	99770		751145
ამორტიზაცია 2022						0
გაყიდვა/ჩამოწერ ა 2022	10589	4993	3260	724		19566
31.12.2022	668237	133973	12400	203310	5659	1023579
შეძენა 2023	144531			40043		184574
აფასება				5957		5957
ამორტიზაცია 2023	0	0	0	0		0
გაყიდვა-ჩამოწერა 2023				45000		45000
31.12.2023	812768	133973	12400	204310	5659	1169110

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	63887	2073	10836
	63887	2073	10836

საკუთარი კაპიტალი

საწარმოს კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგების, ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის და დამფუძნებლის შენატანისაგან.

ამონაგები

საწარმოს ამონაგებში ასახულია მხოლოდ საქონლის რეალიზაცია

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში ასახულია რეალიზებული მზა პროდუქციის თვითღირებულება

საგადასახადო ხარჯი

	2023	2022
ქონების გადასახადი	9724	10224
მიწის გადასახადი	14150	14898
	23874	25122

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2023	2022
ელ. ენერგია	33376	46177
ბუნებრივი აირის ხარჯი	1853	1675
ტელეფონი	1303	1926
წყალკანალის		
ხარჯი	771	409
დასუფთავება	1010	600
არქივი	312	312
სოციალური დანარცხები	5922	6777
ფინანსური დახმარება	5002	
გაზეთი	240	240
პენსია	400	736
სალარო აპარატის მომსახ.	120	151
სამეურნეო		
ხარჯი	60	26
შემძენილი სატრანსპორტო და სხვა მომსახურება	21167	
ნოტარიუსი	40	
ფასიანი		
ქაღალდების	360	270
მშენებლობის მოსაკრებელი		56
საკონსულტაციო	1500	1920
საკანცელარიო	85	
კატრიჯის		
დატენვა	20	
საკომისიო	2751	1702
	76292	62977

18. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია წლის 2024 წლის 26 სექტემბერს.